პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნა გენიალური ლენინის დაბადებიდან 91 წლისთავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-17 წელი.

№ 49 (1685) ○ კვირა, 23 აპრილი, 1961 წ. ○ ფასი 3 კაპ.

პირველი ეტაპის შემდეგ

ფრენბურთელთა საკავშირო ჩე-მპიონატი წელს ორ ეტაპად ტარ-დება. უკვე დამთავრდა პირველი ეტაპი — წინასწარი შეხვედრები ჯგუფებში. პირველ ოთხ ადგი-ლზე გამოსულმა კოლექტივებმა მოიპოვეს ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება.

ფინალი ჩატარდება ასე: პირვე-ლი რვა ადგილისათვის მებრძოლი გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან ორჯერ, ხოლო მომდევნო ადგი-ლების პრეტენდენტთა ტურნირი ჩატარდება ერთ წრედ. უძლიერე-სები შეჯიბრებას დაიწყებენ 24 ივნისს, ფინალი მოეწყობა მხო-ლოდ ერთ ქალაქში.

ქვემოთ მოგვყავს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების შედეგები პირველი ეტაპის შემდეგ.

ვაჟები

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	წ.	ქ.
ცსკა	7	6	1	6
„ბურ". ოდესა	7	5	2	5
სკა ლდ.	7	5	2	5
„ლოკომ". მოსკოვი	7	5	2	5
„ბურ". ხარკოვი	7	4	3	4
სკა რიგა	7	2	5	2
„კალევი" ტალინი	7	1	6	1
„ბურ", ალმა-ატა	7	0	7	0

II ქვეჯგუფი

	თ.	მ.	წ.	ქ.
„ბურ". მოსკოვი	7	5	2	5
სკიფი რიგა	7	5	2	5
„ლოკომ". კიევი	7	5	2	5
„ბურ". თბილისი	7	4	3	4
„სპარტ". გროზნო	7	3	4	3
„სპარტ". ლდ.	7	3	4	3
სკიფი ბაქო	7	2	5	2
„დინამო" მოსკოვი	7	1	6	1

როგორც ხედავთ, საბჭოთა კავ-შირის ჩემპიონის ოქროს მედლისა-თვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს: ცსკა-მ, ოდესის „ბურევესტნიკმა". ლენინგრადის სკამ, მოსკოვის „ლო-კომოტივმა", მოსკოვის „ბურევეს-ტნიკმა", რიგის სკიფმა, კიევის „ლოკომოტივმა" და თბილისის „ბურევესტნიკმა".

შ. ქველიაშვილის რეკორდები

ლვოვი (ტელეფონით). აქ გრძე-ლდება საკავშირო შეჯიბრება ტყვიით სროლაში. „გაქცეულ ირე-მზე" 50 ერთჯერადი გასროლის შემდეგ დაწინაურდა დინამოელი ვ. მაზინი, რომელმაც 223 ქულა მოაგროვა. სამაგიეროდ, ორმაგ სროლის დროს შესანიშნავ წარმა-ტებას მიაღწია არმიე-ლმა ლ. ლუსტბერგმა, რომელიც პირველი დღის შემდეგ 221 ქულით მესამე ად-გილზე იყო. ამჯერად მან 25 ორ-მაგი გასროლით შეძლო 227 ქუ-ლის მოგროვება. ეს შედეგი 1 ქუ-ლით აღემატება საკავშირო რე-კორდს და 4 ქულით ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს, რომელიც ამე-რიკელ დეკერტს ეკუთვნის.

რევოლვერ-პისტოლეტიდან მრა-ვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში (30+30) მიუწვდომელი აღმოჩნდა ა. ზაპოლსკი („შრ. რე-ზერვები"). მან 600 შესაძლებლი-დან 589 ქულა მოაგროვა.

როგორც ვიტყობინებოდით მცი-რეკალიბრიანი შაშხანიდან სრო-ლაში თბილისელმა რ. ანანიკიანმა მოაგროვა 564 ქულა და მეორე ად-გილი დაიკავა. სამაგიე-როდ, იგი უძლიერესი იყო წოლელა სროლა-ში — 195 ქულა. ჩვენი რესპუბლი-კის მეორე წარმომადგენელი შ. ქველიაშვილი ამ სახეობაში მეექ-სე იყო — 563 ქულა.

სამაგიეროდ, შ. ქველიაშვილმა თავი ისახელა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მ წოლელა სრო-ლაში. 30 გასროლის შემდეგ წინ იყო კიეველი ა. ფედოროვი, რო-მელსაც მხოლოდ 1 ქულა ჰქონდა დაკარგული და 2 ქულით ჯობდა შ. ქველიაშვილს, მაგრამ შემდეგ 30 გასროლაში ლიდერებმა რო-ლები შეიცვალეს — შ. ქველიაშ-ვილმა აჩვენა იგივე შედეგი — 299 ქულა რაც პირველ 30 გასროლაში, ა. ფედოროვმა კი — 295. ამრიგად, მოწინაამღეგეებმა 600 შესაძლებ-ლიდან მოაგროვეს ქულათა ერთ-ნაირი რაოდენობა — 594. შეას-რულეს საბჭოთა კავშირის რეკორ-დის სარეგისტრაციო ნორმატივი და ორივეს გვარი შეტანილ იქ-ნა რეკორდების ცხრილში. პირ-ველობა მიეკუთვნა შ. ქველიაშ-ვილს, რომელსაც მეტი საკონტრო-ლო ათიანები აღმოაჩნდა.

მ. ბოტვინიკის გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევს

ბოტვინიკისათვის ყოველი ყაი-მი გამარჯვებას ნიშნავს. ამიტომ ტალი შეგნებულად გაურბის სა-ყაიმო გაგრძელებებს. ასეთივე პოზიციას ადგია ბოტვინიკიც — არ ეძებს ყაიმს, არ გაურბის გართულებებს.

მატჩის XV პარტიაში ტალ-მა ისევ მიმართა თავის საყვა-რელ ძველინდურ დაცვას. ამჯერად მან თავი აარიდა ლაზიერების გა-ცვლას და შექმნა რთული თამაში.

მალე ბოტვინიკის უპირატესო-ბამ რეალური სახე მიიღო. მისმა ორივე კუმ ეტლებთან შეთანხმე-ბული მოქმედებით შებოჭა ტალის პოზიცია. ასეთ მდგომარეობაში გა-დაიდო ეს პარტია.

გუშინ, 22 აპრილს მოხდა ამ პა-რტიის დამთავრება. ბოტვინიკმა იშვიათი თანამიმდევრობით გამოი-ყენა თავისი უპირატესობა და გაიმარჯვა 63-ე სვლაზე.

ამრიგად, XV პარტიის შემდეგ მატჩ-რევანშის ანგარიში გახდა 10:5 ბოტვინიკის სასარგებლოდ. დარჩენილ ცხრა პარტიაში ბოტვი-ნიკს ჩემპიონის ტიტულის დასაბ-რუნებლად ყოფნის 2,5 ქულა.

მშვიდობის ველორბოლის წინ

2 მაისს ვარშავაში სტარტი მიე-ცემა მშვიდობის XIV ველორბო-ლას. გასული წლის ამ შეჯიბრე-ბაში მონაწილეობდნენ სსრ კავში-რის, გდრ-ს, ინგლისის, ავსტრიის, ბელგიის, ბულგარეთის, დანიის, მონაკოს, უნგრეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, შვეციის, ნორვეგი-ის, შვეიცარიის, ფინეთის, საფრა-ნგეთის, ჰოლანდიის, ჩეხოსლოვა-კიისა და პოლონეთის გუნდები, წელს მათ დაემატებათ იტალიის, გფრ-სა და საბერძნეთის ველოსი-პედისტებიც.

სპორტსმენთა ასეთ რაოდენობას ჯერ არ მოუყრია თავი

★

სურათზე: საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის კალათბურთელთა მატჩი. მსაჯმა ააგდო ბურთი, თა-მაში დაიწყო.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

☆

ახალი სისტემით

19 აპრილს მოსკოვში, სპორტის სასახლეში გა-იმართა საბჭოთა კავში-რისა და ბულგარეთის კალათბურთელ ვაჟთა ნა-კრები გუნდების ამხანა-გური მატჩი, რომელიც ერთგვარ რეპეტიციას წარმოადგენდა ევროპის ჩემპიონატის წინ. შეხვე-დრა აღინიშნა საინტე-რესო სპორტული ბრძო-ლით. იგი მოიგეს ბულ-გარეთის კალათბურთე-ლებმა — 65:62.

29 აპრილს ბელგრად-ში აღიმართება ევროპის უძლიერეს კალათბურთე-ლთა კოლექტივების მო-რიგი, XII ჩემპიონატის ალამი, რომელშიც მო-ნაწილეობს გუნდე-ბის სარეკორდო რაოდენო-ბა. წლევანდელი ჩემპიონატის ფორმულაში ბევრი რამაა ახალი: პირველობის ყველა მატჩი ჩატარ-დება დარბაზში. ძირფესვიანადაა შეცვლილი შეჯიბრების სისტემა. როგორც ტურნირის საორგანიზა-ციო კომიტეტმა განაცხადა პირვე-ლობის მონაწილე გუნდები დაყო-ფილი არიან ექვს წინასწარ ჯგუ-ფებად. პირველ, მესამე და მეხუთე ჯგუფებში გაერთიანებულია 4-4 გუნდი, ხოლო მეორე, მეოთხე და მეექვსე ჯგუფებში — სამ-სამი კო-ლექტივი.

ჯგუფებში პირველ ორ ადგილზე გამოსული გუნდები შექმნიან ორ ნახევარფინალურ ჯგუფს. „ა" ჯგუფში შევლენ I, II და III ჯგუფებში გამარჯვებული კოლექ-ტივები. დანარჩენები მოხვდებიან „ბ" ჯგუფში.

ფინალური ტურნირი ჩატარდება არა წრიული, არამედ ოლიმპიური სისტემით.

კარგი წამოწყება

თითქმის უკვე ორი თვეა, რაც თბილისის სტუდენტთა ქალაქის მე-6 კორპუსში მცხოვრებ პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებთან ყოველდღიურად ტარდება დილის გამამხნევებელი ვარჯიში 15-20 წუთის ხანგრძლიობით. ვარჯიშებმა დიდად შეუწყო ხელი სტუდენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებასა და საერთოდ, სტუდენტთა დღის რეჟიმის რეგულირებას. ამაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სტუდენტთა დიდი უმრავლესობა აქტიურად და მონდომებით ასრულებს დილის გამამხნევებელ ვარჯიშს; ბევრმა სურვილი გამოსთქვა სპორტულ სექციებში ჩაწერაზე და სპორტმასობრივი ღონისძიებების ჩატარებაზე. მე-6 კორპუსში მცხოვრებ სტუდენტებთან შეიქმნა ფიზკულტურის საბჭო 7 კაცის შემადგენლობით, რომელიც აქტიურად ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს. ამ საბჭოს მეშვეობით ჩატარდა სტუდენტთა ქალაქის მე-6 კორპუსის პირადი პირველობა ჭადრაკში. საბჭოს შემუშავებული აქვს სპორტმასობრივ ღონისძიებათა კალენდარული გეგმა, რომელიც განისაზღვრება სპორტის სხვადასხვა სახეობაში პირველობის ჩატარებით და ექსკურსიებით. ამ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების წამოწყებაში დიდი წვლილი შეიტანა ინსტიტუტის დირექციამ, პროფორგანიზაციამ და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრამ.

კარგი იქნებოდა, რომ სხვა უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობამაც მიაქციოს ყურადღება ამ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებას.

ა. გოგოლაძე

კომბინატის ტურიზმის სექცია

თბილისის კერამიკულ კომბინატში შექმნილია ტურიზმის სექცია, რომელსაც სამხატვრო საამქროს მხატვარი ნ. ცერაძე ხელმძღვანელობს. გასული სეზონი სექციისათვის მეტად ნაყოფიერი გამოდგა. მოეწყო ხუთი ორდღიანი ტურისტული ლაშქრობა საქართველოს სხვადასხვა რაიონში. ლაშქრობათა შემდეგ ეწყობოდა მისი გარჩევები, ფოტო-გაზეთების გამოშვ ებ ა. წლის ბოლოსათვის სექციის ოცმა წევრმა ჩააბარა ნორმები და მიიღო „საბჭოთა კავშირის ტურისტის“ ნიშნები.

ზ. კვაშაძე

კონფერენციებზე შეაჯამეს მუშაობა

წერილების მიმოხილვა

უკვე დამთავრდა სპორტკავშირების რაიონული, საქალაქო და საოლქო კონფერენციები, რომლებმაც შეაჯამეს დამფუძნებელი კონფერენციის შემდგომ პერიოდში ჩატარებული მუშაობა. დელეგატები ლაპარაკობენ მიღწევებზე, ამახვილებენ ყურადღებას ნაკლოვანებებზე, რა უშლის ხელს მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის უკეთ წარმართვას, სახავენ ხარვეზების დაძლევის გზებს.

რედაქცია კონფერენციების მუშაობის ანგარიშებს რეგულარულად ღებულობდა რაიონებიდან, ქალაქებიდან. ჩვენი კორესპონდენტები და მკითხველები გვწერდნენ კონფერენციის მუშაობის დაწვრილებით ანგარიშს. **აბაშის** სპორტკავშირის მეორე რაიონული კონფერენციის შესახებ რედაქციას მასალა გამოუგზავნა **მ. ჩაჩავამ**, რომელიც გვწერს, რომ სპორტკავშირის თავმჯდომარემ ს. ტყებუჩავამ და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ გ. კაპარავამ, აგრეთვე მოკამათეებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს ნაკლოვანებათა მხილებას და აღნიშნეს, რომ რაიონში მთლიანად მივიწყებულია ტანვარჯიში, ცურვა, ხელბურთი, ჩოგბურთი და სხვ. შეჯიბრებებში გუნდების მონაწილეობა ხშირად ხდება მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით, მოუმზადებლად. კოლმეურნეობებსა და საწარმოო კოლექტივებში განიცდიან ბაზების სიმცირეს, დაბალია დისციპლინა სპორტსმენებში, ცუდად მუშაობს „კოლმეურნის“ რაისაბჭო, რომლის 27 ფიზკულტურული კოლექტივიდან შეჯიბრებებში მონაწილეობს მხოლოდ 10-11. მარნის, სამიქაოს, პირველ მაისის კოლმეურნეობებში ფიზკულტურული კოლექტივები მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ, ნორიოს კოლმეურნეობაში და ზანათის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობაში არავითარი ბაზა არ გააჩნიათ. უმოქმედობენ „განთიადისა“ და „სპარტაკის“ საბჭოებიც. დაბალ დონეზეა ფიზკულტურული მუშაობა სასკოლო კოლექტივებში, რაიონს არ გააჩნია სარბენი ბილიკები, რის გამო შეჯიბრება მძლეოსნობაში ტარდება ასფალტიან გზატკეცილებზე და სხვ. კონფერენციამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად მიიღო სათანადო დადგენილება და გადაახალისა რაიონული საბჭოს შემადგენლობა.

ონის სპორტკავშირის საქმიანობაზე გვწერს ჩვენი ადგილობრივი კორესპონდენტი **დ. ბერიშვილი.** იგი თავის წერილში განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ფიზკულტურულ კოლექტივებში უმოქმედობა დამკვიდრდა, თითქმის ისე გადის წლები, რომ ერთი შიდასაკოლექტივო ღონისძიებაც კი არ გაიმართება. ძალზე მცირეა სპორტულ სექციებში ქალთა პროცენტი, რაიონში განსაკუთრებით იგრძნობა სპორტული ბაზებისა და ინვენტარის ნაკლებობა, შეუწყნარებლად გაჭიანურდა საჭიდაო დარბაზის მშენებლობა. რაიონში ფეხი ვერ მოიკიდა ალპინიზმა და სათხილამურო სპორტმა, მაშინ, როცა მათი განვითარების შესანიშნავი პირობები არსებობს.

ი. თევდორაშვილი გორის რაიონის სპორტკავშირის მეორე კონფერენციის მუშაობის ანგარიშში იტყობინება, რომ სპორტკავშირის რაისაბჭოს თავმჯდომარემ თ. სებაშვილმა ბევრი ილაპარაკა მიღწევებზე და მხოლოდ რამდენიმე ფაქტის დასახელებით დაკმაყოფილდა, როცა საქმე ნაკლოვანი მხარეების მხილებას შეეხებოდა. მის გამოსვლაში არაფერი იყო თვითკრიტიკული. რომ არაფერი ვთქვათ ფარიკაობაზე, ძალოსნობაზე, ცურვაზე, ჩოგბურთსა და სხვა სახეობებზე, რაიონში დაქვეითება დაეტყო ჭართულ ჭიდაობას. შაგრამ სპორტკავშირის საქმიანობა გააკრიტიკეს კამათში გამოსულებმა — ნიჭოზის საშუალო სკოლის დირექტორმა გ. თუშალიევმა, ატენის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა გ. ალექსიძემ, ქვეშის საშუალო სკოლის დირექტორმა მ. მელითაურმა და სხვებმა. კონფერენციამ მიიღო დადგენილება და სპორტკავშირის ახალ არჩეულ ხელმძღვანელობას დაავალა გასული წლის შეცდომების გათვალისწინებით გარდაქმნას მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა რაიონში.

ლანჩხუთის სპორტკავშირის რაიონულ კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა გ. სიხარულიძე (რაიონული სპორტკავშირის თავმჯდომარე). კამათში მონაწილეობა მიიღო კონფერენციის 9 დელეგატმა. მათს გამოსვლებში იგრძნობოდა გულისტკივილი იმ ჯერ კიდევ განუხორციელებელ ამოცანებზე, რომლებიც ლანჩხუთელებს ჰქონდათ ნაკისრი, როცა ისინი გამოეხმაურნენ კასპელთა და ჩოხატაურელთა თაოსნობას. კონფერენციაზე აღინიშნა ისიც, რომ რაიონის ბევრი სკოლა და კოლმეურნეობა ვერ ეიფენ ერ ვარის უხრუველ ეროფილი მატერიალური ტექნიკური ბაზითა და ინვენტარით. ამ ეფექტურ ... — შემოიდგეთ — რაიონში თავს არ იწუხებენ სავაჭრო ორგანიზაციები. სპორტკავშირი გაკრიტიკებული იქნა შეჯიბრებათა არაორგანიზებულად ჩატარებისათვის, რაც იმაში გამოიხატება, რომ დროზე არ დგება და იგზავნება ადგილებზე დებულებები, დაბალია გაკვეთილების ხარისხი საშუალო სკოლაში, რაც იმითაცაა გამოწვეული, რომ ფიზაღზრდას დაწყებით კლასებში არასპეციალისტები ასწავლიან — გვწერს შ. მამარდაშვილი.

წითელწყაროსა და ადიგენის რაიონული კონფერენციების მუშაობის შესახებ რედაქციას მასალები გამოუგზავნეს **გ. გოჩიტაშვილმა** და **ვ. ზაზაშვილმა. მახარაძის** სპორტკავშირის შესახებ გვწერს **ო. კიშინსკი, ვანის** სპორტკავშირის კონფერენციის შესახებ — **გ. ლომინეიშვილი, ხიღნაღის** სპორტკავშირის კონფერენციის შესახებ — **კ. შეუაშვილი** და სხვ. ყველა ისინი იტყობინებიან კონფერენციებზე მომხსენებელთა და მოკამათეთა მიერ მხილებულ ნაკლოვანებებს და იმედს გამოთქვამენ, რომ განვლილი მუშაობის შემაჯამებელი კონფერენციების მუშაობა ამაოდ არ ჩაივლის და იგი ხელს შეუწყობს მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების საქმეს რაიონებში.



გაზაფხული ძალაში შედის. იწყება სპორტული სეზონის ყველაზე უფრო ინტენსიური დრო — ზაფხულის პერიოდი. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ წარმოება-დაწესებულებათა ფიზკულტურელებისათვის, რომელთა განკარგულებაშიც არ არის სპეციალური სპორტული დარბაზები. ნამდვილი სპორტული სეზონი მათთვის ახლა იწყება, როცა თავიანთი პირდაპირი „მოვალეობის“ შესრულება შეუძლიათ ფრენბურთიხა და კალათბურთის მოედნებს, ფეხბურთის მინდვრებს, მძლეოსნობის სექტორებს...

ახლა უნდა დაიწყოს ნამდვილი სპორტული სეზონი თბილისის მიკროძრავის ქარხნის ფიზკულტურელთათვისაც, მაგრამ დაიწყება კი?

ამ ხუთათზე სწორედ ამ ქარხნის ერთ-ერთი „ხედია“ აღმეჭდილი. ბოძებზე გაბმული ფრენბურთის ბადის მიხედვით თუ მიხვდება კაცი, რომ ამ ადგილს რაღაც სპორტული დანიშნულება უნდა ჰქონდეს და არა მტვრისა და ყოველგვარი ნაგვის საცავისა. რაღა თქმა უნდა, რომ აქ ნამდვილი სპორტული სეზონის შესახებ არავითარი პირობები არ არის შექმნილი და ამაზე არც არავის უფიქრია.

ამ დანაშაულებრივ უგულისყურობასაც რომ თავი დავანებოთ და არაფერი ვთქვათ საწარმოს ფიზკულტურელთა ინტერესებზე, ნუთუ ქარხნის ხელმძღვანელობას თავისთავად ეს მტვერი, ნაგავი და უწესრიგობა მაინც არ აწუხებს?...

მხატვრული ტანვარჯიში

თბილისის განათლების განყოფილების სპორტდარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენთა შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში. მაყურებლები მოწმენი იყვნენ ტანმოვარჯიშეთა მიერ მაღალი გემოვნებით, ლამაზად შესრულებული ვარჯიშებისა.

განსაკუთრებული აღნიშნის ღირსია სპორტის ოსტატ ნ. სალაძის (სახელმწიფო უნივერსიტეტი) გამოსვლა, რომელმაც საუკეთესოდ შეასრულა რთული ვარჯიში ბურთით.

როგორც ყოველთვის, წარმატებით გამოვიდა „განთიადის“ წარმომადგენელი დ. შელია, რომელმაც გამომსახველად ივარჯიშა ლენტით ხელში. აღნიშვნის ღირსია აგრეთვე სპორტის ოსტატ რ. პენკოვას მიერ მაღალ ტემპში შესრულებული ვარჯიში სახტუნელათი. საყოველთაო ყურადღება მიექცა სპორტის ოსტატ ნ. ხერხეულიძის ტემპერამენტიანი მოძრაობით აღსავსე ვარჯიშმა.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი წილად ხვდათ თბილისის პირველი გუნდის ტანმოვარჯიშეებს. მომდევნო ადგილებზე არიან თბილისის მეორე გუნდი და აფხაზეთის კოლექტივი.



ინდივიდუალურ ჩათვლაში საუკეთესო იყო ნ. სალაძე, რომელმაც დააგროვა 56,45 ქულა. 55,9 ქულით მეორე ადგილზეა დ. შელია, ხოლო მესამეზე — რ. პენკოვა (54,8 ქულა).

I თანრიგში თავი გამოიჩინეს სოხუმელმა გოგონებმა ქ. ჯაკალიამ, ვ. მაცენკომ და ს. ქუკოვამ.

ლ. ფალიანი

ფეხბურთი

18 აპრილს შედგა საიუბილეო სპარტაკიადის პირველი ნახევარფინალური მატჩი ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდსა და ქუთაისის „იმერეთს“ შორის.

პირველ წარმატებას მიაღწიეს სტუდენტებმა, რომელთა თავდამსხმელმა ჯ. ჯიბლაძემ ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. ქუთაისელები სწრაფად გადავიდნენ საპასუხო იერიშზე და გაათანაბრეს კიდეც ანგარიში.

მეორე ტაიმში თბილისელები დიდხანს ცდილობდნენ თავიანთი ტაქტიკური უპირატესობის რეალიზაციას და მხოლოდ ერთხელ შეძლეს კომბინაციის დამთავრება გოლით. საბოლოოდ, გაიმარჯვა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა — 2:1, რომელიც გავიდა სპარტაკიადის ფინალში.

ლ ე ლ ო

მე-2 გვ. № 49 (1685)

„ბ“ კლასში

„ლოკომოტივი“ (თბილისი)-„სელმაში“ (ლიეპაია) — 3:0

„ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდების გათამაშებაში ჩაებნენ თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები. გუშინ ისინი „ბურევესტნიკის“ სტადიონზე შეხვდნენ ლიეპაიას „სელმაშს“.

თბილისელებმა მშვიდად და თავიანთ ძალებში დაჯერებულად დაიწყეს თამაში. მათ პირველივე წუთებიდან თითქმის მთლიანად ხელთ აიღეს ინიციატივა (რაც არც ისე ძნელი გამოდგა, ვინაიდან „სელმაში“ ერთობ სუსტი გუნდია) და რამდენიმეჯერ შორიდან მოსინჯეს მეკარე სემიანიკოვი. აღმოჩნდა, რომ მეკარეც ისეთივე სუსტი იყო, როგორც მისი პარტნიორები, მაგრამ მიუხედავად ამისა, „ლოკომოტივის“ განუწყვეტელი იერიშები, სადაც სისტემატურად მონაწილეობდა 5-7 მოთამაშე, უშედეგოდ მთავრდებოდა.

მხოლოდ 27-ე წუთზე შეძლეს რკინიგზელებმა ანგარიშის გახსნა. ურთქმელიძემ ახლო მანძილიდან თავით გაგზავნა ბურთი კარში—1:0.

მეორე ტაიმში „ლოკომოტივი“ ფაქტიურად ცალ კარში თამაშობდა და შეძლო კიდეც ორი გოლის გატანა, მაგრამ ეს უფრო „სელმაშის“ მეკარის შეცდომებს მიეწერება, ვიდრე მასპინძელთა თავდამსხმელებს.

თავისი პირველი კალენდარული მატჩი „ლოკომოტივმა“ მოიგო ანგარიშით 3:0.

◆

„ტორპედო“ (ქუთაისი)-„ენბეკი“ (ჯამბული)—4:0

ქუთაისელ ფეხბურთელთა მორიგი კალენდარული მატჩი საინტერესო იყო იმით, რომ მათ პირველ ტაიმში ვერაფრით ვერ შეძლეს მოეძებნათ „გასაღები“ მოწინააღმდეგეთა კარისათვის და გუნდები შესვენებაზე წავიდნენ ისე, რომ ბურთი არ გაუტანიათ.

მეორე ტაიმში ტორპედოელთა თამაშში მეტი პასუხისმგებლობა და სიზუსტე იგრძნობოდა, რამაც სრული გამოსახვა ჰპოვა ანგარიშშიც. პირველი ბურთი გატანილ იქნა მაჭარაშვილის მიერ. შემდგომში ავალიანმა და კვლავ მაჭარაშვილმა ანგარიში სამამდე აიყვანეს, ხოლო სორდიამ მეოთხე ბურთი გაიტანა.

ქუთაისელებმა მიაღწიეს დამსახურებულ გამარჯვებას — 4:0.

ე. გელოვანი

◆

„მეტალურგი“ (რუსთავი)-„შახტიორი“ (ყარაგანდა) — 3:1

მატჩის დასაწყისში სტუმართა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო, რომელიც ზუსტად გამოიყენა რამიშვილმა — 1:0. მცირე ხანს შემდეგ ქოჩიაშვილმა მეტად ლამაზი [illegible] ორამდე გაზარდა.

მეორე ტაიმში [illegible] ერთი ბურთი გაიტანა და ამან ერთგვარი თვითდამშვიდება შეიტანა „მეტალურგის“ რიგებში. ამით ისარგებლეს სტუმრებმა და გაქვითეს კიდეც ერთი ბურთი, მაგრამ ეს იყო მათი პირველი და უკანასკნელი წარმატება. რუთავის გუნდმა კვლავ ხელთ იგდო უპირატესობა და ვერ შეძლო ანგარიშის გაზრდა მხოლოდ იმიტომ, რომ თავდამსხმელები არაზუსტად ურტყამდნენ კარში, — 3:1.

რ. მორჩილაძე





ფეხბურთი

ქულები არის, მაგრამ...

თბილისის დინამოელებმა პირველი სამი ტურის მატჩები ზედიზედ მოიგეს საკუთარ მინდორზე და ქულათა მაქსიმუმით (6) გაემგზავრნენ მოწინააღმდეგეთა სტადიონებზე სათამაშოდ საკმაოდ ხანგრძლივი ხნით (4 მატჩი).

თუ მხედველობაში მივიღებთ გათამაშების დებულებას, რომლის მიხედვითაც გუნდებს საბოლოო ჩათვლაში ეწერება ყველა მატჩის შედეგები, ცხადია, რომ თვითეულ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც ფინალურ ჯგუფში მოსახვედრად, ისე საბოლოო ადგილების განაწილებისას.

ამ მხრივ ჩვენს გუნდს საქმე კარგად აქვს — ჯერჯერობით ყველა შეხვედრა მოგებულია. მაგრამ ჩვენი აზრით, შეცდომა იქნება ვუყუროთ მხოლოდ იმ სვეტს გათამაშების ცხრილში, სადაც „მოგება“ წერია და არ მივუთითოთ დინამოელებს ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ მრავლადაა მათს თამაშში. „ა“ კლასის უძლიერეს გუნდებთან ჩვენ ჯერ არ გვითამაშია, ამიტომ თავის დაკმაყოფილება ციფრი „6“-ით მხოლოდამხოლოდ საზიანო იქნება.

აი რამდენიმე შენიშვნა, რომლებიც გვინდა გამოვთქვათ განვლილი მატჩის შთაბეჭდილებათა მიხედვით.

დინამოელებმა დაკარგეს ტემპი. მხოლოდ ხანდახან თუ ამოქმედდება გუნდის ყველა რგოლი სრული სისწრაფით, გაიელვებს რაიმე კომბინაცია, აიშლება მოწინააღმდეგის რიგები, ახმაურდებიან ტრიბუნები და მცირე ხანს შემდეგ კვლავ იწყება ბურთის ნელი გათამაშება მრავალ „ინსტანციაში“.

თავდასხმა მეტწილად მიმართავს მოკლე ხშირ გადაცემებს და თანაც ბურთი რატომღაც ეძლევა მოთამაშეს, რომელიც დახურულია მოწინააღმდეგის მიერ ან სრულიად არაა მზად გადაცემის მისაღებად. ამიტომაა, რომ მას უჭირს ბურთის მიღება და თუ მიიღო იგი, შემდგომში თავიდან უხდება ათასგვარი მანიპულაციების შესრულება, რათა გადასცეს პარტნიორს, რომელიც... ასევე დახურულია ან არახელსაყრელ პოზიციაში იმყოფება.

ამის გამოა, რომ შუა მინდვრის გავლას დინამოელები აუარებელ დროსა და ძალას ანდომებენ. აქ იხარჯება ენერგია და უნარი, რომელიც გუნდს სხვა სასარგებლო საქმისათვის უფრო გამოადგება და შედეგსაც მისცემს.

„დინამოს“ მოთამაშეები ვერაფრით ვერ განიკურნენ თავიანთი „ქრონიკული ავადმყოფობისაგან“ — მათი გადაცემები უკიდურესად არაზუსტი და მცდარია. გარდა იმისა, რომ ბურთი იშვიათად აღწევს ადრესატამდე, ადგილი აქვს ტაქტიკურად არასწორ გადაცემებსაც. მაგალითად: საყოველთაოდ ცნობილია, რომ „დაუგავას“ მეკარე ვ. ტუჩკუსი ხშირად გამოდის წინ და ზედმიწევნით კარგად თამაშობს მაღალ ბურთებზე. მიუხედავად ამისა, როგორც ფლანგური გადაცემები, ისე ცენტრიდან წამოწყებული შეტევა სისტემატურად მთავრდებოდა მაღალი გადაცემით... ტუჩკუსისათვის.

ჩვენი გუნდის თავდამსხმელები ერთობ პასიურად ებრძვიან მოწინააღმდეგე მცველებს ბურთის მიღების მომენტში და საშუალებას აძლევენ მათ არა მარტო უბრალოდ მოიგერიონ ბურთი, არამედ ღრმა დაცვიდან შეფერხების გარეშე წამოიწყონ რაიმე კომბინაცია. ეს განსაკუთრებით ეხება მელაშვილს, რომელიც ასეთ მომენტებში „ჩაურევლობის“ პოზიციაზე დგება ხოლმე ყოველთვის. ეს მოწინააღმდეგეს საშუალებას აძლევს აიღოს ხელთ ინიციატივა და გადავიდეს კონტრშეტევაზე.

საყვედური ეთქმით გუნდის ცალკეულ მოთამაშეებს. მესხი ამ თამაშში კვლავ ჩაიკეტა მარცხენა ფლანგის ვიწრო ზონაში და ზედმეტად უსარგებლოდ ერთობოდა დრიბლინგით. შეცდომებს უშვებდა მეკარე კოტრიკაძე მცველებთან ურთიერთმოქმედებაში, ხოლო ის ერთადერთი ბურთი, რომელიც „დინამოს“ კარში იქნა გატანილი, მთლიანად ხუნდაძის უხეშ შეცდომას შეიძლება მიეწეროს. მცველთა მიერ გაჭირვებით მოგერიებული ბურთი მან ყოველგვარი კონტროლის გარეშე, შექმნილი სიტუაციის შეუფასებლად, მოუფიქრებლად მიაწოდა უკან, სადაც ღიად იყო დარჩენილი ქვლივიძე. ამ წინდაუხედაობას მოჰყვა კიდეც კანონიერი სასჯელი — გოლი.

ჯერჯერობით, რაც მეტად სასიხარულოა ჩვენს გუნდში, ესაა დაცვის თამაშის გაუმჯობესება, შეიძლება ითქვას, რომ ახლა ყველაზე ძლიერად, სტაბილურად თამაშობს დინამოელთა უკანა რგოლი: ხურცილავა-ჩოხელი-ხოშოლავა. ხურცილავა კარგად თამაშობს ერთი-ერთზე, საიმედოა ურთიერთდაზღვევაშიც, მაგრამ მან საგანგებო ყურადღება უნდა მიაქციოს სისწრაფის გამომუშავებას, რის გარეშეც ბრძოლა ძლიერ გარემარბებთან მას ძალზე გაუჭირდება.

სიხარულს იწვევს გ. სიჭინავას ენერგიული, მონდომებული, საკმაოდ კვალიფიციური თამაში. თუ ამ ახალგაზრდა ფეხბურთელმა სათანადოდ იმუშავა თავის თავზე, არ შეწყვიტა პროგრესი, იგი დიდი შენაძენი იქნება ჩვენი გუნდისათვის.

ყველა ჩვენი ეს შენიშვნა, გამოთქმული „დინამოს“ თამაშის მიმართ, ძირითადად ეხება ნაკლოვანებებს. ვფიქრობთ, კოლექტივისათვის ახლა ეს უფრო საჭიროა, ვიდრე ზედმეტი ქება და ხოტბა, მით უმეტეს, რომ საქებარი ჯერ ბევრი არაფერია.

თბილისი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. 20 აპრილი.

„დინამო“ (თბილისი)-„დაუგავა“ (რიგა) — 2:1 (2:0).

„დაუგავა“ — ტუჩკუსი; სტრაუმე, სიმბირცევი, კალიაპინი, ციგანოვი, გრიშინი; ქვლივიძე, მარტინოვი (აბრამოვი), სმირნოვი, ლატინცევი, ტერლეცკი.

„დინამო“ — კოტრიკაძე; ხურცილავა, ჩოხელი, ხოშოლავა; ხუნდაძე, გ. სიჭინავა; მელაშვილი, იამანიძე, კალოევი, ლოლობერიძე. მესხი.

მსაჯი ვ. ოსიპოვი (მოსკოვი).

ბურთები განვლილ მატჩში გატანილ იქნა ასეთი თანმიმდევრობით. მე-10 წუთზე კომბინაცია ლოლობერიძე - კალოევი - ლოლობერიძე-მესხი ამ უკანასკნელმა დაამთავრა ძლიერი დარტყმით, ბურთი მოხვდა სტრაუმეს და გავიდა კარში — 1:0. ტაიმის დასასრულს „დაუგავას“ მცველებმა აშკარად მოცელეს გარღვევაზე გასული იამანიძე და კალოევმა ძლიერი დარტყმით გაიტანა პენალტი — 2:0.

საპასუხო ბურთი დინამოელთა კარში გაიტანა ქვლივიძემ ხუნდაძის „მოწოდებიდან“. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს თბილისელებმა.

მ. ბერძენიშვილი,

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

გ. ქორქია.

• • •

სურათებზე: მომენტები განვლილი მატჩიდან თბილისის „დინამოსა“ და რიგის „დაუგავას“ შორის. სახიფათო მომენტი რიგელთა კართან. მარცხნივ—პირველი ბურთი „დაუგავას“ კარში. მესხის მიერ დარტყმული ბურთი მოხვდა მცველს და მეკარე ტუჩკუსმა ვერ მოასწრო მასზე რეაგირება — 1:0.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 23 აპრილისათვის

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ თბ.	3	3	0	0	6:2	6
„ნეფტიანიკი“ ბ.	3	2	1	0	3:1	5
სკა როსტ.	3	2	0	1	7:2	4
„ტორპედო“ მ.	3	2	0	1	5:2	4
„ლოკომოტივი“ მ.	3	1	2	0	4:3	4
„ავანგარდი“ ხ.	2	1	1	0	3:2	3
„დაუგავა“ რ.	2	1	0	1	3:3	2
„ადმირალტ.“ ლ.	3	0	1	2	1:4	1
„შახტიორი“ სტ.	3	0	1	2	3:7	1
„ტრუდი“ ვორ.	2	0	0	2	0:2	0
„სპარტაკი“ ვ.	3	0	0	3	2:9	0

* * *

II ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მოლდოვა“ კიშ.	3	2	1	0	7:1	5
„დინამო“ კ.	2	2	0	0	5:1	4
ცსკა	3	2	0	1	7:5	4
„დინამო“ მ.	3	1	2	0	4:2	4
„სპარტაკი“ მ.	2	1	1	0	5:1	3
„პახტაკორი“ ტ.	2	1	1	0	3:2	3
„ზენიტი“ ლ.	3	1	0	2	3:9	2
„კალევი“ ტალ.	2	0	1	1	1:2	1
„კაირატი“ ა-ატა	2	0	1	1	1:5	1
„სპარტაკი“ ერ.	3	0	1	2	4:8	1
„ბელარუსი“ მნ.	3	0	0	3	2:6	0

მესამე ტურის მატჩები

I ქვეჯგუფი

„ნეფტიანიკი“ (ბაქო)-„სპარტაკი“ (ვილნიუსი) — 1:0
სკა (როსტოვი)-„ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი) — 2:0
„შახტიორი“ (სტალინო)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — 2 2
„ტრუდი“ (ვორონეჟი)-„ტორპედო“ (მოსკოვი) — 0:1.

II ქვეჯგუფი

„სპარტაკი“ (ერევანი)-„დინამო“ (მოსკოვი) — 2:4
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)-ცსკა — 3:2
„კაირატი“ (ალმა-ატა)-„სპარტაკი“ (მოსკოვი) — 1:5
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)-„კალევი“ (ტალინი) — 1:1
„ზენიტი“ (ლენინგრადი)-„ბელარუსი“ (მინსკი) — 3:1.

საჯი ჩემპიონის ტაქლით

4 მაისს, სოხუმში სტარტი მიეცემა სამი მოძმე რესპუბლიკის — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სპორტსმენთა შეჯიბრებას „მეგობრობის თასზე", რომლის ინიციატორია საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი. ველორბოლის მარშრუტია: სოხუმი-ზუგდიდი-ქუთაისი-ხაშური-გორი-თბილისი -კიროვაბადი-იჯევანი-ერევანი - ლენინაკანი-იჯევანი-თბილისი.

ამ საინტერესო შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის რესპუბლიკების სპორტსაზოგადოებათა 5-5 გუნდი. შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივი დაჯილდოვდება საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მთავარი პრიზით—„მეგობრობის თასით". გამარჯვებულებს გადაეცემათ აგრეთვე სპეციალური ჯილდოები, რომლებიც დააწესეს საქართველოს სპორტკავშირმა, რესპუბლიკურმა და საქალაქო გაზეთებმა და ჟურნალებმა.

ამჟამად საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში მიმდინარეობს დიდი მოსამზადებელი მუშაობა. ბაქოდან გვაცნობეს, რომ აქ ჩატარდა რესპუბლიკის უძლიერეს ველოსიპედისტთა შეჯიბრება, რომლის დამთავრების შემდეგ დაკომპლექტდა „მეგობრობის თასზე" მონაწილე გუნდები. მსგავსი სპორტული ღონისძიებები მოეწყო თბილისსა და ერევანში. სპეციალისტების საერთო აღიარებით, პირადი პირველობისათვის ბრძოლა უმთავრესად გაიმართება ე. ბირიუკოვს, ა. თავაძის, ვ. სიკორსკის (საქართველო), ა. ბოიაჯიანს, ტ. ავაქიანს (სომხეთი), ე. ხემერგეის, ა. ხროპკოვს. ვ. დავიდოვს (აზერბაიჯანი) შორის.

„მეგობრობის თასის" ფინიში მოეწყობა თბილისში, 16 მაისს, ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე.

ფეხბურთის ქრონიკა

* * *

ბუდაპეშტის სახალხო სტადიონზე შედგა თამაში მსოფლიო პირველობის IV შესარჩევ ჯგუფში უნგრეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებს შორის. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს უნგრელებმა.

* * *

ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში ავსტრიისა და შვეიცარიის ნაკრებ გუნდებს შორის დიდ წარმატებას მიაღწიეს ავსტრიელებმა, რომლებმაც დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 5:0.

* * *

შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში შედგა კარდიფში უელსისა და ესპანეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

მართალია, ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა, მაგრამ ესპანელთა მცველმა ფონჩომ და ცენტრალურმა თავდამსხმელმა დი სტეფანომ ორი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და გამარჯვება დარჩა ესპანელებს ანგარიშით 2:1.

თბილისსაც ეწვევიან

ვინ დაიცავს ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ქალთა ნაკრები გუნდის ღირსებას საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს? ამ კითხვაზე პასუხი გასცა შეერთებული შტატების ჩემპიონატის ფინალურმა მატჩმ, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ „ნეშვილ ვიზნეს კოლეჯის" და „ფლაინგ ქვინზის" წარმომადგენლები. გამარჯვა „ფლაინგ კვინზმა" და შეერთებული შტატების ნაკრების მწვრთნელის გვარი და გუნდის ძირითადი ბირთვის შემადგენლობაც ნათელი გახდა.

ნაკრებში მოხვდნენ ლაური შვიტცერი (185,5 სმ), კარლა ლოური (173 სმ), ბეტი სკოტი (170 სმ), სინტია შელტონი (170 სმ), ლინ მასტონი (183 სმ) — ყველა გამარჯვებული გუნდიდან, „ნეშველმა" ნაკრებს მისცა ჯოან კროუფორდი (183 სმ), „ტოპეკა ბუსტერსმა" — რიტა ხორკი (175 სმ), „ვესლიენ კოლეჯმა" — ჯუდი ხოდსონი (175 სმ), „კანზას კოლეჯმა" —სანდრა ფიეტი (175 სმ), „ნორტ-ისტ ოკლახომა კოლეჯმა" — შეიივი და ნელდა სმიტი. ნაკრების მწვრთნელია ჰარლეი რედინი.

რა შეიძლება ითქვას შეერთებული შტატების ნაკრებ გუნდზე? იგი დაკომპლექტებულია მთელი რიგი გამოცდილი კალათბურთელებით, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან: ლოური, ჰორკი, კროუფორდი, აივი და სხვანი. მაგრამ გუნდის ძირითად ბირთვს მაინც ახალგაზრდები წარმოადგენენ. ამერიკის ნაკრების შემადგენლობაში დიდხანს წარმატებით გამოდიოდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი კალათბურთელი ქალი ნერა უაიტი, მაგრამ წელს იგი არ მოხვდა ნაკრების შემადგენლობაში.

გუნდის მწვრთნელი რენდი ცნობილია, როგორც აგრესიული სტილის მომხრე კალათბურთში. იგი 1954 წლიდან წვრთნის „ფლანგ კვინზს". ამ ხნის განმავლობაში რენდის გუნდმა ხუთჯერ მოიპოვა შეერთებული შტატების ჩემპიონის საპატიო წოდება. 1959 წლამდე გუნდს ჰქონდა 117 გამარჯვება და მხოლოდ 3 წაგება.

* * *

21 აპრილს მოსკოვში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები. სტუმრები საბჭოთა კავშირში ჩაატარებენ ამხანაგურ შეხვედრებს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს საკლუბო გუნდებთან, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ძირითად და ახალგაზრდულ ნაკრებ კოლექტივებთან.

3 წლის წინ ჩაატარეს ამერიკელმა კალათბურთელებმა პირველი ამხანაგური მატჩები საბჭოთა კავშირში. სტუმრების ვაჟთა გუნდმა მაშინ ყველა შეხვედრა მოიგო, ხოლო ქალთა კოლექტივმა, ორი მატჩი წააგო და 4 შეხვედრაში გაიმარჯვა.

ერთი წლის შემდეგ ჩვენი კალათბურთელები საპასუხო ვიზიტით ეწვივნენ შეერთებულ შტატებს. საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრებმა ყველა შეხვედრა მოიგო, ხოლო ვაჟთა გუნდმა გაიმარჯვა 2 შეხვედრაში, 4 კი წააგო.

ოფიციალურ მატჩებში ჩვენი ქვეყნის ვაჟთა ნაკრები გუნდი ამერიკელებს შეხვდნენ 1952, 1956 და 1960 წლებში ოლიმპიურ თამაშებზე, გამარჯვება ამ თამაშებში ამერიკელებს ხვდათ წილად. ჩილეში მსოფლიოს პირველობაზე საბჭოთა კავშირის ნაკრებმა დაამარცხა ამერიკის უძლიერესი გუნდი — 63:37.

ჩვენი ქვეყნის ქალთა ნაკრებმა 1957 წელს რიო-დე-ჟანეიროს მსოფლიოს პირველობაზე დამარცხება განიცადა ამერიკელებისაგან. ორი წლის შემდეგ კი მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატში ჩვენმა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა.

ამერიკელი კალათბურთელები პირველ მატჩებს გამართავენ მოსკოვში. 23 და 24 აპრილს ისინი შეხვდებიან საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებს. შემდეგ ისინი ჩამოვლენ თბილისში, სადაც 26 და 28 აპრილს გამართავენ მატჩებს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებთან და ადგილობრივ გუნდებთან.

ახალგაზრდა მხატვართა კუთხე



წინასწარ გამიზნული დარტყმა

ნახატი ლ. ხიხარულიძისა.

რედაქტორი ი. უზულავა.

ხ ვ ა ლ!

სალამოს 6 საათზე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახ. პოლიტიკური განათლების სახლის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ. № 35) შედგება საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილებისა და საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პროპაგანდისა და აგიტაციის საგზოს კულტურის უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

ლექციებს წაიკითხავენ: ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი იონა ტუსკია, თემაზე: „ქართული საბჭოთა მუსიკა", საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი რ. ნათაძე, თემაზე: „მეხსიერება და მისი განვითარება".

„ტოტენჰემმა" გაინაღდა პირველი ადგილი

ინგლისის შარშანდელ ჩემპიონატში ლონდონის „ტოტენჰემი" დიდხანს ლიდერობდა და პირველი ადგილიც განაღდებული ჰქონდა, მაგრამ ფინიშზე სუსტად ითამაშა და ჩემპიონობა „ბერნლეის" დაუთმო. ეს გუნდის მენაჯერმა ნიკოლსონმა იმით ახსნა, რომ „ტოტენჰემს" არ ჰყავდა ღირსეული ცვლა. ძირითად შემადგენლობას მოთამაშეები გამოაკლდნენ, შემცვლელი კი არავინ იყო, სწორედ ამიტომ მიმდინარე სეზონის დასაწყისში ნიკოლსონმა წამოაყენა ასეთი დევიზი: — „ორ-ორი თანაბარი ძალის მოთამაშე თითო ადგილზე!".

უნდა ითქვას, რომ წელს კინაღამ არ განმეორდა გასული წლის ისტორია. ქულათა სხვაობა ლონდონელებს და მათი მთავარი მეტოქის — „შეფილდ უენსდეის" შორის, რომელიც ერთ მომენტში 10 ქულას შეადგენდა, მოულოდნელად სამ ქულამდე შემცირდა. სწორედ ამ მომენტში გამოიყენა ნიკოლსონმა თავისი „ჩასაფრებული" სათადარიგო ფეხბურთელები. „ტოტენჰემმა" ზედიზედ მოიგო 4 შეხვედრა: „პრესტონ ნორსიელთან" (5:0), „ჩელსისთან" (4:2 და 3:2) და ბოლოს „ბირმინჰემ სიტისთან" (3:2). ქულათა სხვაობამ „ტოტენჰემსა" და „შეფილდს" შორის ისევ მიაღწია ექვსს. ამჟამად, როდესაც ჩემპიონატის დასასრულამდე მხოლოდ ოთხი ტური დარჩა, „ტოტენჰემს" 62 ქულა აქვს, „შეფილდს" კი 56. „ტოტენჰემის" ფორვარდებმა 38 თამაშში გაიტანეს 109 ბურთი.

როგორც ყოველთვის, გააფთრებული ბრძოლა წარმოებს პირველ ლიგაში დარჩენის უფლებისათვის. დღეისათვის საფრთხე ემუქრება ხუთ კლუბს: „ბოსტონ უონდერერსს", „ფულჰემს", „ბლეკპულს", „პრესტონ ნორს-ენდსა" და „ნიუკასლ იუნაიტედს". განსაკუთრებით მძიმეა „ნიუკასლ იუნაიტედის" მდგომარეობა, რომელსაც „ტოტენჰემზე" გამარჯვებამაც კი არ უშველა.

მას შემდეგ, რაც ინგლისის ჩემპიონობის ბედი ფაქტიურად გადაწყდა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თასის ფინალი, რომელიც 6 მაისს უნდა შედგეს ლონდონის „უემბლეის" სტადიონზე



დ ღ ე ს!

ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტული დარბაზი

საერთაშორისო შეჯიბრება ფარიკაობაში

მონაწილეობენ: საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, სომხეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

დასაწყისი 10 და 17 ს.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05517